



ტელ: + 995 (422) 270596 ; +995 (77) 408017 (მობ.)
ელექტრონული ფოსტა: indinvestiPaata@yahoo.com
37, ზურაბ გორგილაძის ქუჩა, ოფისი 19,
ქ. ბათუმი, 6010

№ 01/01-13

2015 წლის 01 ოქტომბერი

საქართველოს ეროვნული ბანკი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ მანანა ციციშვილს

ასლი: სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“
გენერალურ დირექტორს
ბატონ გიორგი ფარესიშვილს

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 25 მაისის № 22 ბრძანებით დამტკიცებული „ანგარიშვალდებული საწარმოების მიმართ პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნების განსაზღვრის, საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან განთავისუფლების, ანგარიშვალდებული საწარმოების ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გიდგენთ სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“ მიმდინარე ანგარიშს.

დანართი: სს „ინდუსტრია-ინვესტის“ მიმდინარე ანგარიში, კრების ოქმთან და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტიდან ამონაწერთან ერთად.

პატივისცემით,

პლატონ კალოიანი
გენერალური დირექტორი

სააქციო საზოგადოება

„ინდუსტრია-ინვესტი“

მიმდინარე ანგარიში 2015 წელი

ეს ანგარიში ხელმისაწვდომია:

კომპანიის სათაო ოფისში –
ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქ., № 37, ოფისი 19;

საქართველოს ეროვნული ბანკი –
თბილისი, სანაპიროს ქ., № 2;

სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ –
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 71,
მე-10 ბლოკი, მე-7 სართული.

ანგარიშის წარდგენის თარიღი - 2015 წლის 01 ოქტომბერი;

ინფორმაცია საზოგადოებისა და მისი საქმიანობის შესახებ

ÓÀßÀÒÏÏÓ ÓÒÖËË ÃÀÓÁáÄËÄÄÄ	სააქციო საზოგადოება „ინდუსტრია-ინვესტი“
ÓÀßÀÒÏÏÓ ÏËËÄ ÃÀÓÁáÄËÄÄÄ	სს „ინდუსტრია-ინვესტი“
ÓÀËÄÄÏÏÓÉ×ËËÀÝËÏ ËÏÄË	245423992
ÄÄÄËËÏÄÄÄÄÒÄÏÄÄ	ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქ., № 37, ბ. 19
ÓÀ×ÏÓÏÏ ÌÉÓÄÌÀÒÈË	ბ. 19, № 37, ზურაბ გორგილაძის ქ., 6010, ბათუმი,
ÓÄáÄËÏßÉ×Ï ÒÄÄÉÓÒÒÀÝËËÓ ÏÏÄÒË	№ 01\05-02
ÒÄÄÉÓÒÒÀÝËËÓ ÈÀÒÈÙË	1995 წლის 11 ივლისი
ÓÀËÏÏÓÀØÏÏ ÒÄËÄ×ÏÏÄÄË	0 (422) 270596; 5 (77) 408017
ÓÀËÏÏÓÀØÏÏ ÐËÒË	გენერალური დირექტორი პლატონ კალოიანი
ÄË. ×ÏÓÒÄ	Indinvestipaata@yahoo.com
ÄÄÏÄÒÄËËÒËÄ ÄËÒÄØÏÏË	პლატონ კალოიანი
ფინანსური ÄËÒÄØÏÏË	ბესიკ კვაჭანტირაძე
ÓÀØËÄÄÏÏÄËÓ Ó×ÄÏÏ	საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია ფინანსური სახსრების მოზიდვა და ინვესტირება

საკითხი I. ლიკვიდაციის პროცესის დაწყება და ლიკვიდატორის დანიშვნა

სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“ 2015 წლის 26 სექტემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით (ოქმი № 1) დაიწყო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი. გადაწყვეტილება რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2015 წლის 1 სექტემბერს.

სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდატორად დანიშნულია პლატონ კალოიანი, დაბადებული 1943 წლის 20 ივნისს, ქ. ბათუმში, პირადი ნომერი 61001012755, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა № 11IC51051, გაცემის თარიღი – 2012 წლის 10 მაისი, გამცემი ორგანო – იუსტიციის სამინისტრო, საცხოვრებელი ადგილის მისამართი – ქ. ბათუმი, აჰმედ მელაშვილის ქ., № 4/6, ბინა 9.

საკითხი VIII. დამადასტურებელი დანართები

ამ ანგარიშს თან ერთვის აქციონერთა 2015 წლის 26 სექტემბრის საერთო კრების ოქმი № 1 და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

საკითხი IX. ხელმოწერები

მიმდინარე ანგარიშზე ხელმოწერი პირი, საქართველოს კანონის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით პასუხისმგებელია მასში არსებითი ინფორმაციის გამოტოვებისა და არასწორად გადმოცემისათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165⁵ მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მმართველი ორგანოს წევრებს დაეკისრებათ ჯარიმა ყალბ ან შეცდომაში შემყვან ანგარიშზე ხელმოწერისათვის.

სააქციო საზოგადოების
„ინდუსტრია-ინვესტის“
სამმართველო საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე,
საზოგადოების
გენერალური დირექტორი

პლატონ კალოიანი

სააქციო საზოგადოება
„ინდუსტრია-ინვესტი“
(საინდუსტრიული კაპიტალიზაციის ნომერი 245423992) (რფ)

საერთო კრება

ოქმი

№ 1

2015 წლის 26 სექტემბერი

ქ. ბათუმი

კრება ჩატარდა ორიათასთხუთმეტი წლის 26 სექტემბერს ქ. ბათუმში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქ., № 37, ბინა 19. კრება დაიწყო დღის 12 საათზე, ხოლო დასრულდა დღის 13. საათსა და 30 წუთზე. კრებას თავმჯდომარეობდა სს „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ტუნაძე, რომელმაც აქციონერებს აცნობა, რომ საზოგადოების 2,765,448 (ორმილიონ შვიდასამოცდახუთიათას ოთხასორმოდარვა) ხმის უფლების მქონე აქციის მფლობელიდან საერთო კრებას ესწრებიან: პლატონ კალოიანი (814,914 ხმა), შპს „ტუნაძე და კომპანია“ (დირექტორი თამაზ ტუნაძე, 454,715 ხმა), ნარიე აბაშიძე (251,663 ხმა), შპს „გეომარი“ (დირექტორატის თავმჯდომარე თამაზ დოლიძე, 14,778 ხმა) თამაზ ტუნაძე (13,032 ხმა), ნოდარ მაღაყმაძე (7,644 ხმა), ბესიკ კვაჭანტირაძე (1,647 ხმა); სულ კრებას ესწრება 1,557,950 (ერთმილიონ ხუთასორმოდამეცხუთათას ცხრაასორმოდდაათი) ხმის უფლების მქონე აქციონერი, რაც შეადგენს საერთო ხმების 56.34 პროცენტს. ამდენად საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

კრების თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საერთო კრების საადრიცხვო დღედ დადგენილია 2015 წლის 07 სექტემბერი. საზოგადოების აქციათა არანაკლებ 1 პროცენტის მფლობელებს საერთო კრების მოწვევის შეტყობინება პირადად გადაეცა. საზოგადოების აქციათა 1 პროცენტზე ნაკლების მფლობელი აქციონერებისათვის საერთო კრების მოწვევისა და საადრიცხვო დღის შესახებ შეტყობინება გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე, შემდეგი დღის წესრიგით:

1. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ 2014 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშის შესახებ დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად (მომხსენებლები - გენერალური დირექტორი პლატონ კალოიანი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ტუნაძე);
2. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაციის შესახებ (მომხსენებელი პლატონ კალოიანი).

საკანონმდებლო მაცნეში განცხადების გამოქვეყნების შემდეგ გამოქვეყნებული დღის წესრიგის გარშემო აქციონერის მოთხოვნა არ შემოსულა. კრების თავმჯდომარემ შესთავაზა კრებას, კენჭი ეყარათ შემოთავაზებული და საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული დღის წესრიგისათვის. კრებამ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას. კენჭისყრის შედეგად გადაწყვეტილებამ მიიღო 1,557,950 ხმა, ანუ კრებაში მონაწილე ხმების 100%.

ამდენად, კრების დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ 2014 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშის შესახებ დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად (მომხსენებლები - გენერალური დირექტორი პლატონ კალოიანი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ტუნაძე);
2. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაციის შესახებ (მომხსენებელი პლატონ კალოიანი).

მოისმინეს:

1. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ 2014 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშის შესახებ დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად (მომხსენებლები - გენერალური დირექტორი პლატონ კალოიანი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ტუნაძე); (მომხსენებები - იხილეთ დანართი № 1 და № 2)

გამოვიდნენ:

ბესიკ კვაჭანტირაძე, ნარიე აბაშიძე, ნოდარ მაღაყმაძე, ტარიელ დოლიძე, პლატონ კალოიანი, თამაზ ტუნაძე.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს სს „ინდუსტრია-ინვესტის“ 2014 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიში, დამოწმებული დამოუკიდებელი აუდიტური ფირმის შპს „საკონსულტაციო ჯგუფი R.G.“ მიერ.
2. დამტკიცდეს სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ანგარიშები საზოგადოების საქმიანობის 2014 წლის შედეგების შესახებ.
3. აღინიშნოს, რომ სს „ინდუსტრია-ინვესტმა“ 2014 სამეურნეო წელი ზარალით დაამთავრა.

(კენჭისყრის შედეგად გადაწყვეტილებამ მიიღო 1,557,950 ხმა, ანუ კრებაში მონაწილე ხმების 100 %)

მოისმინეს:

2. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაციის შესახებ (მომხსენებელი პლატონ კალოიანი).

მომხსენებელმა განაცხადა, რომ გასული წელი, ისევე როგორც წინა 5 სამეურნეო წელი, ზარალიანი იყო. საწარმოს მიმე პერსპექტივა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას პრაქტიკულად არ აქვს კრედიტორული დავალიანება, გარდა მიმდინარე სახელფასო დავალიანებისა, არ არსებობს რაიმე პერსპექტივა საწარმოს მომგებიანობის უზრუნველყოფისა. მინიმუმადე არის დაყვანილი ხარჯებიც. კიდევ მეტიც, საწარმოს მიმდინარე წლიდან უწევს დამატებითი ხარჯების გაწევა აუდიტორული მომსახურებისათვის. ჩვენი კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით. შესაბამისად, ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ კომპანიის სავალდებულო აუდიტს და აუდიტორულ დასკვნას წლიურ ანგარიშგებასთან ერთად წარვუდგენთ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოს საფონდო ბირჟას. მაგრამ, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, 2014 წლიდან სამეურნეო შედეგების სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტურ ფირმას. ასეთი ფირმების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. ამჟამად ამ რეესტრში 11 აუდიტური ფირმაა. ჩვენ მივმართეთ თითოეულ მათგანს. მაგრამ მათმა უმეტესობამ უარი განგვიცხადა აუდიტის ჩატარებაზე, რამდენადაც 25 ათასამდე ლარის წლიური შემოსავლის მქონე ჩვენნაირი კომპანიის აუდიტის ჩატარება მათთვის არახელსაყრელია. ორმა მათგანმა კი აუდიტის ჩატარებაში მოგვთხოვა 5000 აშშ დოლარი. ცხადია, ასეთი თანხის ჩვენს მიერ გადახდა შეუძლებელია. გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაცია კანონმდებლობითა და საზოგადოების წესდების შესაბამისად.

გამოვიდნენ: ნოდარ მაღაყმაძე, ნარიე აბაშიძე, ტარიელ დოლიძე, რომლებიც არ დაეთანხმენ წარმოდგენილ წინადადებას საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე; პლატონ კალოიანი, თამაზ ტუნაძე.

გადაწყვიტეს:

1. დაიწყოს სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაციის პროცესი საზოგადოების წესდებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.
2. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდატორად დაინიშნოს ბ-ნი პლატონ კალოიანი, დაბადებული 1943 წლის 20 ივნისს, ქ. ბათუმში, პირადი ნომერი 61001012755, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა № 11IC51051, გაცემის თარიღი – 2012 წლის 10 მაისი, გამცემი ორგანო – იუსტიციის სამინისტრო, საცხოვრებელი ადგილის მისამართი – ქ. ბათუმი, აჰმედ მელაშვილის ქ., № 4/6, ბინა 9.
3. დამტკიცდეს ლიკვიდატორისა და მისი თანამშრომლების თვიური ხელფასის ფონდი 1,000 (ერთი ათასი ლარის) ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ხელფასის დარიცხვის თარიღისათვის საზოგადოების ანგარიშზე და სალაროში არსებული თანხისა. მიეცეს უფლება ლიკვიდატორს თვითონ დაადგინოს თანამშრომლების ხელფასების განაკვეთები აღნიშნული ხელფასის ფონდის ფარგლებში.
4. ლიკვიდატორმა შეადგინოს სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ყველა ცნობილი კრედიტორის სია, დააზუსტოს ვალდებულებები მათ მიმართ და მათი დაკმაყოფილების ვადები.
5. ლიკვიდატორმა ეს გადაწყვეტილება სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ რეგისტრაციისათვის წარადგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. გადაწყვეტილებასთან ერთად ლიკვიდატორმა რეესტრს წარუდგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება საზოგადოების ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები.
6. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე ლიკვიდატორმა დაიწყოს საზოგადოების კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი. ამ მიზნით, ლიკვიდატორმა ყველა ცნობილ კრედიტორს დაუზღავნოს წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც აღნიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები.
7. ლიკვიდატორმა სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან:
 - ა) 20 დღეში მოახდინოს საზოგადოების ქონებისა და დებიტორული დავალიანებების ინვენტარიაზაცია და დაიწყოს დებიტორული დავალიანებების ამოღების პროცესი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - ბ) 30 დღეში შეადგინოს იმ ქონების ჩამონათვალი, რომლის განაწილება შესაძლებელია ნატურით გაყოფის გზით. ამასთან ნატურით გაყოფამდე უზრუნველყოს ამ ქონების პირველადი სახით შენარჩუნება;
 - გ) არა უგვიანეს 90-ე დღისა დაიწყოს საზოგადოების ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით. ლიკვიდატორმა ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები, ასევე ამოღებული დებიტორული დავალიანებები განათავსოს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.
8. ლიკვიდატორმა, სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხების ან ნატურით გასაყოფი ქონების აქციონერთა შორის განაწილებამდე, ამ თანხებისა და ქონების განკარგვა განახორციელოს მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით.

9. სს „ინდუსტრია-ინვესტის“ ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში ლიკვიდატორს აეკრძალოს საზოგადოების ქონების გასხვისება (გარდა ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მისი რეალიზაციისა და ან/და საზოგადოების ქონებით კრედიტორების დაკმაყოფილებისა), დატვირთვა და ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება.
10. ლიკვიდატორმა საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი დაასრულოს ამ პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.
11. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ ლიკვიდატორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საზოგადოების ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების მიზნით ლიკვიდატორი აღნიშნული გადაწყვეტილებას წარუდგენს მარეგისტრირებულ ორგანოს ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით.
12. თუ სს „ინდუსტრია-ინვესტის“ რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, ლიკვიდატორმა მათი დაკმაყოფილება მოახდინოს ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის შესაბამისად დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის შესაბამისად დეპონირებული თანხები ან ქონება ლიკვიდატორმა გაანაწილოს სს „ინდუსტრია-ინვესტის“ აქციონერებს შორის მათ საკუთრებაში არსებული აქციების (წილების) პროპორციულად.

(კენჭისყრის შედეგად გადაწყვეტილებამ მიიღო 1,283,865 ხმა, ანუ კრებაში მონაწილე ხმების 82.40 %; წინააღმდეგ – 274,085 ხმა, ანუ კრებაში მონაწილე ხმების 17.60 %; ამრიგად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის, ასევე სს „ინდუსტრია-ინვესტის“ წესდების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა ხმების 75 პროცენტზე მეტის თანხმობა. ამრიგად, გადაწყვეტილება მიღებულია.)

კრების
თავმჯდომარე,
სააქციო საზოგადოების
„ინდუსტრია-ინვესტის“
სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

თამაზ ტუნაძე
(პირადი ნომერი 61005000484)

სს „ინდუსტრია-ინვესტის“ 2015 წლის 26 სექტემბრის
საერთო კრების ოქმის დანართი № 1

სს „ინდუსტრია-ინვესტის“
დირექტორის პლატონ კალოიანის

მოსხენება

სს „ინდუსტრია-ინვესტის“

2014 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშის შესახებ

პატივცემული აქციონერებო

2014 წლის 26 სექტემბრისათვის ჩვენ კომპანიას ჰყავდა 1543 აქციონერი, კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენს 303 ათას 544 ლარს და 80 თეთრს. სულ გამოშვებულია და განთავსებულია 3 მილიონ 335 ათას 448 აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 10 თეთრი.

საზოგადოების ანგარიშგება შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ბასს) და ინტერპრეტაციების ჩათვლით.

კომპანიის საკუთარმა კაპიტალმა გასული საანგარიშო წლის ბოლოსთვის 237 ათას 621 ლარი შეადგინა. საზოგადოების საკუთარი კაპიტალი 2014 წლის დასაწყისთან შედარებით 29,578 ლარით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო რესურსების უკმარისობითა და გაცემული სესხებიდან შესაბამისი საპროცენტო ანარიცხების ვერ მიღებით. მაგრამ, ძირითადად ამის მიზეზი იყო 27,000 ლარის საკუთარი აქციების გამოსყდვა.

ზარალმა 2 ათას 578 ლარი შეადგინა. ჩვენი საწარმო ზარალიანია 2010 წლიდან.

საერთოდ, საზოგადოების მიმე ფინანსური მდგომარეობა განპირობებულია საპორტფელ ინვესტიციებიდან შემოსავლების არ არსებობით ანუ ჩვენს საკუთრებაში არსებული სხვა სააქციო საზოგადოებების აქციებზე დივიდენდების არ დარიცხვით. გასულ წელს კი საერთოდ არც ერთ ასეთ საწარმოს დივიდენდი არ გაუცია.

2015 წელს მივიღეთ მხოლოდ 65 ლარის დივიდენდი სს „ლიბერტიბანკიდან“.

ჩვენი საწარმოს დაფინანსების (რეალური ფულადი ნაკადების) წყაროს საანგარიშგებო პერიოდში ძირითადად წარმოადგენდა საპროცენტო შემოსავალი, რაც მიღებულ იქნა თამასუქების შექმნით (არასაჯარო შეთავაზების გზით).

ამან საშუალება მოგვცა დაგვეფინანსებია კომპანიის ხარჯები. წლის ბოლოსათვის საწარმოს ფინანსური ვალდებულებები 334 ლარით შემცირდა 2014 წლის 1 იანვართან შედარებით, რაც საგადასახადო და სახელფასო ვალდებულებების შემცირებითაა გამოწვეული.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ქონება შენარჩუნებული იყო, თუმცა საკუთარი კაპიტალი შემცირდა.

ჩვენი საზოგადოების აქციები 2014 წელს სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე გატანილი არ იყო, მაგრამ რამდენიმე მცირე გარიგება მოხდა ბირჟის გარეთ. 10 თეთრი ნომინალური ღირებულების აქციის არასაბირჟო ფასი იყო 10 თეთრი.

ჩვენ გვაქვს საქმიანობის ხელისშემშლელი შიდა ფაქტორებიც.

ჩვენ ვერ ვხედავთ საზოგადოების მომგებიანობის უზრუნველყოფის გზებს დამატებითი ინვესტიციების გარეშე. ეს ინვესტიციები კი არ ჩანს.

დასასრულ, ნება მომეცით, მოგახსენოთ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მოსაზრება, რომ ჩვენი საწარმო არ არის სიცოცხლისუნარიანი. თუ ასე გაგრძელდა, ის გაკოტრების წინაშე დადგება.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

პლატონ კალოიანი
გენერალური დირექტორი
(პირადი ნომერი 61001012755)

სს „ინდუსტრია-ინვესტის“
2015 წლის 26 სექტემბრის
საერთო კრების ოქმის
დანართი № 2

სს „ინდუსტრია-ინვესტის“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის
თამაზ ტუნაძის

მოსვენება
სს „ინდუსტრია-ინვესტის“
2014 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშის შესახებ

პატივცემულო აქციონერებო!

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და საანგარიშო წელს ჩვენი კომპანიის საქმიანობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ დაწვრილებით მოგახსენათ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ბატონმა პლატონ კალოიანმა.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებამ, 2014 წელი 2 ათას 578 ლარის ზარალით დაასრულა, შემცირდა საკუთარი კაპიტალიც, რაც მიუთითებს მძიმე მდგომარეობაზე.

გასულ სამეურნეო წელს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ძალისხმევა, ისევე როგორც წინა წლებში, მიმართული იყო „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მონიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების საფუძველზე საწარმოს ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფისაკენ.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდა 3 წევრისაგან. ესენი არიან ბატონები ნოდარ მაღაყმაძე, პლატონ კალოიანი და თამაზ ტუნაძე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა თამაზ ტუნაძე.

გასულ სამეურნეო წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 5 სხდომა, რომელზეც განხილული იყო კომპანიის საქმიანობის აქტუალური საკითხები. საბჭო სისტემატურად ისმენდა კომპანიის გენერალური დირექტორის პლატონ კალოიანის ანგარიშებს გაწეული მუშაობისა და კომპანიის საფინანსო მდგომარეობის შესახებ.

კომპანიის საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნა გააკეთა დამოუკიდებელმა აუდიტორმა ფირმამ შპს „საკონსულტაციო ჯგუფი R.G.“ დასკვნა დადებითია.

გთხოვთ განიხილოთ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ წარმოდგენილი საზოგადოების 2014 სამეურნეო წლის ანგარიში და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

თამაზ ტუნაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
(პირადი ნომერი 61005000484)



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15195045, 01/10/2015 15:15:15

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: სს ინდუსტრია-ინვესტი
 სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება
 საიდენტიფიკაციო ნომერი: 245423992
 რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 01/06-03; 11/07/1995
 მარეგისტრირებელი ორგანო: ბათუმის რ-ნის სასამართლო
 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ., №37, ბ. №19
 დამატებითი ინფორმაცია:
 ელ. ფოსტა: indinvestipaata@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
"ინდუსტრია ბროკერი" (245432740)	შერწყმა	სს ინდუსტრია-ინვესტი (245423992)	19/06/2007
შპს პერსონალ-ინვესტი (445385501)	შერწყმა	სს ინდუსტრია-ინვესტი (245423992)	18/06/2012

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

სტატუსი: ლიკვიდაცია დაწყებულია

მმართველობის ორგანო

- აქციონერთა კრება
- სამეთვალყურეო საბჭო
თავმჯდომარე/წევრი: 61005000484, თამაზ ტუნაძე
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 61001012755, პლატონ კალოიანი
წევრი: 61002001481, ნოდარ მალაყმაძე

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 61001012755, პლატონ კალოიანი
- 61001050901, ბესიკ კვაჭანტირაძე, ფინანსური დირექტორი

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

-
- დოკუმენტის წამდილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
 - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
 - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
 - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge